დანართი №1

1. პროფესიული განათლების მასწავლებელი სწავლების პროცესში უნდა იყენებდეს სწავლების თანამედროვე მეთოდებს, რომელიც მიმართული უნდა იქნას პროფესიული სტუდენტებისათვის ტრანსფერული და პროფესიული უნარების განვითარებისკენ. საქმიანობისას, პროფესიული განათლების მასწავლებელმა, უნდა გაითვალისწინოს პროფესიული სტუდენტის შემხვედრი საჭიროებები და მოქნილი რეაგირება მოახდინოს მათზე.
2. პროფესიული განათლების მასწავლებელმა ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულების შესრულების ხარისხის უზრუნველყოფის მიზნით პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის მოდულის/მოდულების განხორციელებამდე არაუგვიანეს 2 კვირის ვადაში უნდა წარმოადგინოს კალენდარული გეგმა და შეფასების ინსტრუმენტები კოლეჯის მიერ დადგენილი ფორმისა და შინაარსის დაცვით, ხოლო მეცადინეობაზე შესვლამდე არაუგვიანეს 3 სამუშაო დღის ვადაში წარმოადგინოს სასწავლო პროცესისთვის საჭირო მასალები ელექტრონული სახით მათი განახლების საჭიროების შემთხვევაში.
3. პროფესიული განათლების მასწავლებელი ვალდებულია აწარმოოს პროფესიული სტუდენტის დასწრებისა და სწავლის შედეგების დადასტურების ჟურნალი, უზრუნველყოს მეცადინეობების სასწავლო ცხრილით დადგენილი გრაფიკით ხარისხიანი წარმართვა, პროფესიულ სტუდენტებს გაუწიოს დამატებითი კონსულტაციები და საჭიროების შემთხვევაში უზრუნველყოს შედეგების დადასტურების განმეორებით ჩატარება, მონაწილეობა მიიღოს შეფასების ინსტრუმენტის ვალიდაციასა და ვერიფიკაციის პროცესებში.
4. მოდულის განმახორციელებელი ვალდებულია მოდულის დასრულებიდან 2 კვირის ვადაში წარუდგინოს სასწავლო პროცესისა და პრაქტიკის სამსახურს შეფასების მტკიცებულებები. ხოლო თუ მოდული წარმოადგენს სხვა მოდულის წინაპირობას, მოდულის დასრულებიდან არაუგვიანეს 3 დღის ვადაში მიაწოდოს ინფორმაცია სასწავლო პროცესისა და პრაქტიკის სამსახურს იმ პროფესიული სტუდენტების შესახებ, რომლებმაც ვერ დაიდასტურეს მოდულით გათვალისწინებული სწავლის შედეგები. განმეორებითი შეფასებისას, თუ მოდული წარმოადგენს სხვა მოდულის წინაპირობას, მოდულის განმახორციელებელი ვალდებულია შეფასების მტკიცებულებები სასწავლო პროცესისა და პრაქტიკის სამსახურს წარუდგინოს არაუგვიანეს ახალი მოდულის დაწყებამდე 1 დღით ადრე.
5. პროფესიული განათლების მასწავლებელი ვალდებულია მონაწილეობა მიიღოს პროფესიული სტუდენტებისთვის/არაფორმალური განათლების აღიარების მსურველი პირების შეფასებების/გამოცდების ორგანიზება/წარმართვაში და კოლეჯის საგანმანათლებლო და სხვა საქმიანობაში დირექტორის ბრძანების საფუძველზე.